ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4318573

ნომერი: AR1650914

თარიღი : 18.12.2018

გაცემის თარიღი : 25.12.2018

გაცნობის თარიღი : 27.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 90;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯანსუღ ვაშაყმაძე პ/ნ 01002004162
- თბილისი ვ.ბოჭორიშვილის ქ. N 37 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 18 დეკემბერს №AR1650914 განცხადებით მომართეს ჯანსუღ ვაშაყმაძემ და ბუხუტი ვაშაყმაძემ.

განმცხადებლებმა მოითხოვეს სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.72.14.038.424), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (,,ბ" და ,,ც" ბლოკი) არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 08 იანვრის № 3765067 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.72.14.038.424), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (,,ბ" და ,,ც" ბლოკი) მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 08 იანვრიდან 2022 წლის 08 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად 747.4 კვ.მ-ის ნაცვლად 692.00 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 7605.2 კვ.მ-ის ნაცვლად 7606.7კვ.მ-ის, საერთო ფართობად 10736.00 კვ.მ-ის ნაცვლად 10682.1კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 10682.1კვ.მ; საცხოვრებელ ფართობად 7606.7კვ.მ; ავტოსადგომის ფართობად 692.00 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 02 ნოემბრის №3654260 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.